შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№13 (10.118)

27 აპრილი–4 მაისი, 2024

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წყლის ხარისხის გაუმჯობესება დაიწყო

ბრიტანელმა პოეტმა, აუდენმა ერთხელ თქვა : „ათასობით ადამიანი ცხოვრობს უსიყვარულოდ და არც ერთი –წყლის გარეშე “.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში წყალზე გადასახადს არ გადაიხდის“-ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში განუცხადეს. მათივე განმარტებით, „საუკუნის პროექტად“ წოდებული სამუშაოების შედეგად, რომელიც ივრიდან წყლის დებეტის გაზრდის მიზნით განხორციელდა, დედოფლისწყაროელებს წყალმომარაგების პრობლემა კი მოეხსნათ, მაგრამ წყლის ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მოსახლეობა მუდმივად აღნიშნავდა, რომ წყლის სასმელად გამოყენება წარმოუდგენელია და მას მხოლოდ ტექნიკური დანიშნულებით ხმარობდა.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში გვიდასტურებენ, რომ წყალი, რომელიც მოსახლეობას მიეწოდება, ვერ აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს. „ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოსახლეობა დროებით გავათავისუფლოთ გადასახადისგან მანამდე, სანამ მიმდინარე სამუშაოები დასრულდება და წყალი საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვა“.

წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სამუშაოები უკვე დაიწყო. სულ მოკლე დროში დედოფლისწყაროელები ხარისხიან წყალს მიიღებენ.

ინგა შიოლაშვილი

„ახლა დონორი იყენებს მედიასაშუალებებს იმისთვის, რომ ზიანი მიაყენონ იმ კანონპროექტს, რომელიც მათ გამჭვირვალობას ეხება“

უპირველეს ყოვლისა, რაც შეეხება, ამ დეზინფორმაციას, რომელიც „ბათუმელებმა“ და „ნეტგაზეთმა“ გაავრცელა, ნახეთ თქვენ, რომ ბოდიშის მოხდა მოუწიათ მათ ამის გამო, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა მედიასთან განაცხადა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მიწას, რომელზეც საუბარია, მისი ოჯახი წლების განმავლობაში ფლობდა იჯარით და შემდგომ, დაახლოებით 14 წლის წინ მოხდა ამ მიწის გამოსყიდვა სახელმწიფოსგან.

მისი თქმით, რადგან ეს იყო მისი ნათესავის იურიდიულ საკუთრებაში და ფაქტობრივად ფლობდნენ თანაბრად, შემდგომ მოხდა ამ ხარვეზის გასწორება იურიდიულად.

„სინამდვილეში,საუბარი არის პაპაჩემისეული მიწაზე, რომელიც პაპაჩემს ჰქონდა იჯარით. შემდგომ მე და ჩემი ბიძაშვილი ერთად ვფლობდით ამ მიწას. ჯერ გვქონდა იჯარა გამოსყიდვით, შემდეგ რამდენი წელი გავიდა უკვე აღარც ვიცი, ალბათ, 14 წლის წინ შევისყიდეთ და იყო თანასაკუთრება ჩემი და ჩემი ბიძაშვილის. შემდეგ მოხდა ამის გამიჯვნა და ვინაიდან ჩვენ ერთობლივად ვფლობდით და ერთობლივი ხარჯი გვქონდა, ამიტომაც გაიმიჯნა ეს მიწა და რაც იყო ფაქტობრივი მდგომარეობა, ის დარეგისტრირდა რეესტრში. არის ნასყიდობის ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ხარჯები ჩვენ გვქონდა საერთო. ეს იყო ფაქტობრივი თანასაკუთრება და ამის დარეგისტრირება მოხდა. სამწუხარო არის ის, რომ ის მედიასაშუალება „ნეტგაზეთს“ და „ბათუმელებს“ ვგულისხმობ, არის ზუსტად ის მედიასაშუალება, რომელიც მალავს თავის დამფინანსებლებს, სავარაუდოდ ფინანსდება ევროპის დემოკრატიის ფონდიდან და ამერიკის დემოკრატიის ფონდიდან. აი, ეს ის ორი ორგანიზაციაა, რომელიც ფარულად აფინანსებენ საქართველოში რადიკალურ ჯგუფებს, და როგორც ჩანს, ზუსტად ეს ორი ორგანიზაცია, დონორი, იყენებს ახლა ამ მედიასაშუალებას იმისთვის, რომ თავს დაესხას საქართველოს პარლამენტის წევრებს, რომ რაიმენაირად ზიანი მიაყენონ იმ კანონპროექტს, ვინაიდან ეს კანონპროექტი, რა თქმა უნდა, მათ გამჭვირვალობას ეხება, მათ შორის და არ უნდათ რომ იყვნენ გამჭვირვალენი“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

„ეს არის მოსყიდული ევროპარლამენტარების მიერ შემუშავებული რეზოლუცია“

„ეს არის მოსყიდული ევროპარლამენტარების მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც აგებულია დეზინფორმაციაზე და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის დაშანტაჟებას - ვიზალიბერალიზაციის გადახედვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს“, - ამის შესახებ „ხალხის ძალის“ დეპუტატმა, ეკა სეფაშვილმა ევროპარლამენტის რეზოლუციაზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ვიზალიბერალიზაციის გადახედვასთან დაკავშირებით რეზოლუციაში ჩანაწერი არის ჩვეულებრივი შანტაჟი იმ ევროპარლამენტარების მხრიდან, რომლებიც ძალიან ხშირად ხვდებიან რეპუტაციული სკანდალის ქვეშ.

„ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია არის კიდევ ერთი დიდი სამარცხვინო ლაქა მათ რეპუტაციაზე. მათი მხრიდან ვიზალიბერალიზაციის გადახედვის მოწოდება არის შანტაჟი და საქართველოს მოსახლეობის დაშინება, რომ ვიზალიბერალიზაცია გადაიხედება. მე საზოგადოებისთვის განვმარტავ, რომ ვიზალიბერალიზაციის გადახედვას სჭირდება მტკიცე საფუძველი, მაგალითად, როგორიცაა საქართველო-ევროკავშირს შორის რეადმისიის ხელშეკრულების დარღვევა, რასაც არც ერთი მხარე არ არღვევს. ასევე, ვიზალიბერალიზაციის მონიჭებამდე საქართველომ შეასრულა უამრავი რეფორმა, რომელიც ძალაშია და შესაბამისად, ვიზალიბერალიზაციის გადახედვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ეს არის ჩვეულებრივი შანტაჟი იმ ევროპარლამენტარების მხრიდან, რომლებიც ძალიან ხშირად ხვდებიან რეპუტაციული სკანდალის ქვეშ. მათი რეპუტაცია მთლად წმინდა არ არის,“ - განაცხადა სეფაშვილმა.

ცნობისთვის, ევროპარლამენტი „საქართველოში უცხოური აგენტების კანონის ხელახლა შემოტანის მცდელობებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე მისი შეზღუდვების შესახებ“ მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც შესწორებებით დაამტკიცა, მოუწოდებს, განიხილონ ბიძინა ივანიშვილისთვის პირადი სანქციების დაწესება. ამასთან, ევროპარლამენტი იმეორებს მოწოდებას საქართველოს ხელისუფლების მიმართ, გაათავისუფლოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჰუმანიტარული ნიშნით და დაუშვას მისი საზღვარგარეთ სათანადო მკურნალობა. გარდა ამისა, ევროპარლამენტი მოუწოდებს, დროულად შეაფასოს საქართველოს მიერ დაგეგმილი „უცხოელი აგენტის“ კანონის გავლენა საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების უწყვეტ შესრულებაზე. ევროპარლამენტის მიერ დამტკიცებულ შესწორებაში ასევე საუბარია ლგბტ-ს კანონპროექტის შესახებ. კიდევ ერთი შესწორებით, ევროპარლამენტი თვლის, რომ კანონმდებლობის მიღების შემთხვევაში, ევროკავშირმა სანქციები უნდა დაუწესოს საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, ვინც ხმა მისცა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის სასარგებლოდ.

დასუფთავების აქცია

22 აპრილს „დედამიწის დღე“ აღინიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც. სხვადასხვა სკოლებმა თემატური ღონისძიებები მიუძღვნეს. დედამიწის დღესთან დაკავშირებით სოფელ სამრეკლოს სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგ თამარ ყოჩიაშვილის ინიციატივით „ქოჩების ტბაზე“ დასუფთავების აქცია გამართეს. მათვე საკუთარი ხელით შექმნილი პოსტერები გააკრეს, რითიც მოუწოდებენ, არ დაანაგვიანონ გარემო.

10 წელიწადში 3,9 მილიარდის საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერა

2014 წლის 25 დეკემბრიდან 2024 წლის 21 აპრილამდე, განახორციელდა ჯამში 3,920,306,225 ლარის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა, - ამის შესახებ აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს მიერ „ევროოპტიმისტების“ თავმჯდომარის რომან გოცირიძის სადეპუტატო კითხვის პასუხში.

კითხვაზე, რამდენმა პირმა განაახლა საქმიანობა საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემდეგ, ფინანსთა სამინისტრო პასუხობს, რომ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ფლობენ და „მიმდინარეობს მუშაობა იმ კრიტერიუმების დასაზუსტებლად, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მონაცემები დამუშავდება“.

როგორც სამინისტროს პასუხშია აღნიშნულია, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა განხორციელდა სამ ეტაპად.

I ეტაპი - 2014 წლის საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2005 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილმა და გადაუხდელმა ჩამოწერილმა დავალიანებამ 1,104,279,890 ლარი შეადგინა;

II ეტაპი - 2016 წლის საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, 2011 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილმა და გადაუხდელმა ჩამოწერილმა დავალიანებამ შეადგინა 1,692,744,568 ლარი;

III ეტაპი - 2018 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ჩამოიწერა 2013 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი დავალიანება. ჯამურად რაოდენობამ შეადგინა 1,123,281,768 ლარი.

ქართული მართვის მოწმობით ესპანეთში გადაადგილება უკვე შესაძლებელია

ქართული მართვის მოწმობით ესპანეთში გადაადგილება უკვე შესაძლებელია. საქართველო-ესპანეთს შორის „ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმებას 5 აპრილს მოეწერა ხელი, თუმცა შესაბამისი განკარგულება მაცნეზე 17 აპრილს გამოქვეყნდა.

შეთანხმების საფუძველზე, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

ამასთან, შეთანხმებით განსაზღვრულია მართვის მოწმობის კლასები, რომლებიც დაექვემდებარებიან გადაცვლას, კერძოდ AM, A1, A2, A, B, B+E კლასის მართვის მოწმობების გადაცვლა თეორიული ან პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გარეშეა შესაძლებელი, ხოლო C1, C1+E, C, C+E, D1, D1+E, D და D+E კლასის მართვის მოწმობების გადაცვლისათვის, განმცხადებლებს მოუწევთ ჩააბარონ მართვის მოწმობის გამოცდა ზოგადი მოძრაობისთვის განკუთვნილ ღია გზებზე, იმ სატრანსპორტო საშუალების ან მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, რომელთა მართვაც აღნიშნული მოწმობებით იქნება ნებადართული.

ერთი კილოგრამი 219 ლარი - ყველაზე ძვირადღირებული პასკები

აღდგომა ახლოვდება და დღესასწაულის მთავარი ტკბილეულის შერჩევა ბევრი ადამიანის საზრუნავი გახდა. თუ ნაწილი პასკის გამოცხობას სახლში ამჯობინებს, ნაწილი მას სხვადასხვა სუპერმარკეტსა და საცხობში ყიდულობს.

წელს პასკა არც ისე იაფი ღირს და ამას საქართველოს რამდენიმე ობიექტში არსებული ფასებიც მოწმობს.

მაღაზიებისა და რესტორნების ქსელში „გასტრონომია“ წელს საკმაოდ ძვირად ღირებული პასკებია წარმოდგენილი. მაგალითად, Cipriani-ის პანეტონეს 1 კილოგრამი პასკის ფასი 139.90 ლარს შეადგენს, Dolce&Gabbana-სა და Fiasconaro-ს კოლაბორაციით შექმნილი პანეტონე 179,90 და 219,90 ლარი ღირს, Vogue-ის პანეტონე 199,90 ლარი ღირს, ხოლო Loison-ის პრემიალური იტალიური 5 კგ-იანი პანეტონეს ფასი 499.90 ლარს შეადგენს.

„ლე გატოს“ პასკების ფასი შემდეგნაირია: 850 გრამიანი ცუკატით 39 ლარი, შოკოლადით - 45, ხოლო დეკორით - 55 ლარი ღირს.

„ლაიმში“ 1 კილოგრამი პასკის ფასი 43 ლარია, რაც შეეხება „ანტრეს“, პასკების ფასი განსაზღვრული ჯერ არ აქვთ და ის ცნობილი უახლოეს დღეებში გახდება.

რაც შეეხება ქსელურ მარკეტებს- „ორი ნაბიჯი“, „მაგნიტი“, „ლიბრე“, „გვირილა“ აქ პასკები ადგილობრივ სანარმოებშია („იფქლი, „სანდომი“ „ტკბილი ქვეყანა“) დამზადებული და მათი ფასი ზომების მიხედვით 2.50 ლარიდან-13 ლარამდე მერყეობს და პასკის მაქსიმალური მოცულობა 850 გრამია. განსხვავებული ფასი აქვს დედოფლისწყაროში მდებარე სხვადასხვა მარკეტს, პასკის მწარმოებელი ფირმისა თუ ქვეყნის შესაბამისად.

პასკის მომზადება გაცილებით იაფი დაგიჯდებათ, თუ სახლში გადაწყვეტთ მის მომზადებას. ასე მის ხარისხშიც ბევრად დარწმუნებულები იქნებით და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მთავარი ნუგბარის საჩუქრად მირთმევაც თავისუფლად შეძლებთ.

ბედნიერ აღდგომას გისურვებთ!

უფასო აქციები „ოფთალმიჯისგან“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯმა“, 22 აპრილს დედოფლისწყაროში, მორიგი უფასო ოფთალმოლოგიური გამოკვლევები ჩაატარა.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს უფასო სამედიცინო კონსულტაციები გაეწიათ, ასევე, საჭიროების მიხედვით, პაციენტებს ჩაუტარდათ ოპერაციები, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

კონსულტაციებისთვის და ოპერაციებისთვის პაციენტებს მოძრავი (მობილური) საოპერაციო კლინიკა ემსახურებოდა, რომელიც აღჭურვილია, როგორც დიაგნოსტიკური, ასევე საოპერაციო ბლოკით.

როგორც კლინიკის კახეთის რეგიონული დირექტორი **მანანა ხუციშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, „ჩვენ თვეში ერთხელ ვიმყოფებით-ხოლმე მუნიციპალიტეტში და ყოველთვიურად ვაკეთებთ, დაახლოებით, 25 ოპერაციას. მოსახლეობა საჭიროებს კონსულტაციებს და ოპერაციულ მკურნალობას, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. მათ უწევთ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილის დამატება. ამ აქციის ფარგლებში, მოსახლეობა, რომელიც იკეთებს კატარაქტის ოპერაციას, კლინიკის გადაწყვეტილებით, ამერიკულ ბროლს იღებს საჩუქრად. ეს საკმაოდ ძვირადღირებული საჩუქარია. რაიონული ცენტრის გარდა, ჩვენი მობილური კლინიკა სოფლებშიც ატარებს მსგავს აქციებს. ასაკიანი პაციენტებისთვის მუნიციპალიტეტის ცენტრშიც კი ძნელია ამოსვლა, არამც თუ დედაქალაქში. ამიტომ მსგავსი აქციები მათთვის ნამდვილი შვებაა. ბევრ პაციენტს თავისი დიაგნოზის შესახებ ინფორმაციაც არა აქვს და მობილური კლინიკის ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ აღმოაჩენენ ხოლმე, რომ მათი ჩივილების გამოსავალი არსებობს“.

„დიდი მადლობა ოფთალმიჯს, განსაკუთრებით კი ექიმს ნიკა მამასახლისს, რომელმაც ჩემს მშობლებს მხედველობა დაუბრუნა“ - მადლიერებას გამოხატავენ პაციენტები.

გიორგი ჯავრიშვილის სამედიცინო კომპლექსის მოძრავი კლინიკა, ფაქტობრივად, ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, უფასო კონსულტაციები ჩაუტარდეთ და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი მკურნალობა მიიღონ.

„ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲚᲔᲜ...“

„ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲚᲔᲜ,
ᲑᲣᲯᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲬᲧᲕᲘᲐᲗ ᲩᲘᲢᲔᲑᲡ...
ᲛᲔ ᲒᲘᲧᲘᲡᲘ ᲬᲘᲗᲔᲡ-ᲧᲕᲘᲗᲔᲡ ᲩᲘᲗᲔᲑᲡ,
ᲗᲔᲗᲘᲩᲘ ᲢᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲘᲥᲐᲩᲒᲔ ᲨᲔᲜ!“

ამბობენ, რომ საქართველოს ამ დალოცვილ მხარეს შემოდგომაზე, რთვლობისას უნდა ესტუმრო, თუ გინდა, მისი სიდიადე შეიცნო, მაგრამ ყვავილობისთვის მომზადებული და ბაღ-ვენახმოტიტვლებულიც კი, ქიზიყი თავისი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გაოცებს, გულში გიხუტებს და ყოველ ნაბიჯზე ქვეყნის მრავალჭირნახულ წარსულს გიამბობს.

25 აპრილს ზემო მაჩხაანის კულტურის სახლმა სწორედ გულში ჩაიხუტა და მრავალფეროვანი პროგრამით გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა დამსწრე საზოგადოებას. ამ ღონისძიებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ გაზაფხული საოცარი რამაა. ის თითქოს ბუნებას მოუწოდებს, რომ გაიღვიძოს და თავისი მოვალეობა შეასრულოს. გაზაფხული ხომ წელიწადის ის დროა, როდესაც მთელი ქვეყანა მწვანედ იმოსება, ირგვლივ სიხარულია, ბედნიერება, ჟივილ-ხივილი.

გაზაფხულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითშემოქმედებითი კოლექტივები: კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი „განთიადი“ (ხელმძღვანელი: ლევან ხუნაშვილი), მომღერალ გოგონათა ანსამბლი, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ასსა“ (ხელმძღვანელი თამაზ ჟორჟოლიანი).

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი დოდო ხუნაშვილი და მისი მოადგილე გაგა პატაშური, ადგილობრივი მოსახლეობა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

როგორც დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნა, „ეს იყო ერთ-ერთი თბილი, საინტერესო და სიყვარულით სავსე დღე. იმედია, კიდევ მრავალი ასეთი საინტერესო დღე იქნება ჩვენი კულტურული ცხოვრების თანმდევი“.

თქვენ კი ჩვენო მკითხველო, გისურვებთ გაზაფხულივით დამთბარიყოს და გაფერადებულიყოს თქვენი ცხოვრება... გისურვებთ ბევრ ლამაზ ფერს, ლამაზ დღეებს, სითბოსა და სიყვარულს!

„ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲚᲔᲜ,
ᲰᲘᲐ-ᲰᲘᲐ ᲒᲐᲣᲛᲐᲰᲘᲗᲐᲕᲗ ᲩᲘᲢᲔᲑᲡ...
ᲛᲔ ᲒᲘᲧᲘᲡᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜ ᲩᲘᲗᲔᲑᲡ,
ᲗᲔᲗᲘᲩᲘ ᲢᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲘᲥᲐᲩᲒᲔ ᲨᲔᲜ!“

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲧᲐᲜᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

„შინაგანი სამყაროს გადმოცემა ბგერებით, ყოველგვარ სხვა საშუალებათა დახმარების გარეშე, მუსიკის უდიდესი და უძვირფასესი თვისებაა“ - გოეთე.



25 აპრილს ა(ა) ი პ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა სამუსიკო სკოლის I და II კლასის მოსწავლეთა ღია კონცერტი.

კონცერტზე მოწვეულები იყვნენ ქ. დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლების, ასევე სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები, რომლებიც ეზიარნენ კლასიკურ მუსიკასა და ქართველი კომპოზიტორების ცნობილ ნაწარმოებებს. მუსიკალურ საღამოზე ასევე მოწვეულები იყვნენ შშმ მოსწავლეები.

ᲓᲐᲚᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დირექტორი: „ბავშვები დღეს პირველად გამოდიან სცენაზე ამხელა აუდიტორიის წინაშე, ამიტომ ყველას გთხოვთ, სიჩუმე შეინარჩუნოთ, რათა ბავშვებმა კონცენტრაცია მოახდინონ და ყურადღება არ გაეფანტოთ. ამ კონცერტს ესწრებიან საჯარო სკოლების პედაგოგები აღსაზრდელებთან ერთად, დიდი მადლობა მათ მობრძანებისთვის. იმედი მაქვს, დღევანდელი საღამოს შემდეგ, ბევრ ბავშვს გაუჩნდება სამუსიკო სკოლაში სწავლის სურვილი“-აღნიშნა თავის გამოსვლაში დალი ელისაშვილმა.

კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. ნორჩი მუსიკოსების დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა და მათ ყვავილები და აპლოდისმენტებიც უხვად ხვდათ წილად.

ჩვენ კი კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ მუსიკის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში.

რა იქნებოდა ცხოვრება მუსიკის გარეშე? ვფიქრობ, ყველანი ვთანხმდებით, რომ მუსიკის გარეშე ცხოვრება ძალზედ მოსაწყენი და უღიმღამო იქნებოდა.

მუსიკა მართლაც საოცრად მოქმედებს ჩვენს ემოციებზე. იგი გვამშვიდებს, აღფრთოვანებაში მოვყავართ, განწყობას გვიმაღლებს, შთაგონების წყაროდ გვექცევა და შესაძლოა,

თვალზე ცრემლიც კი მოგვგვაროს .მას სამკურნალო მიზნებისთვისაც კი იყენებენ სულიერად დაავადებულთათვის: „ჰარმონიულ მუსიკას აქვს ძალა და თვისება, თავისი ფრთებით ზე აიტაცოს და ზეცას აზიაროს დამძიმებული სული“ - გიოარსი. მართლაც, მუსიკას დიდი ძალა გააჩნია. მისით ტკობა ყველას შეუძლია და ყველა უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ეს დიდი საჩუქარია, ღვთისგან ბოძებული.

მუსიკას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. საუკუნეებით ადრე აფრიკის ტომები უკრავდნენ ტამტამებზე, საყვირებზე, ზანზალაკებზე... ჩინელები კი - ტუჩის ჰარმონიკასა და ფლეიტაზე. ეგვიპტელები, ინდოელები და შუამდინარეთში მცხოვრებნი ქნარზე უკრავდნენ. საუკუნეების წინ დაწერილი ხელნაწერები გვამცნობდნენ: „მუსიკალური აღზრდა ყველაზე ძლიერი იარაღია, რამეთუ რითმი და ჰარმონია აღწევს ყველაზე დაცულ, სიღრმისეულ და იდუმალ ადგილებს ადამიანის სულში.“ როგორც სპეციალისტები ამბობენ, მუსიკა ასწავლის პატარა ბავშვს, აღიქვას და გადმოსცეს გაგონილი, რაც მას ხელს შეუწყობს, ადვილად დაწეროს ის, რასაც მოისმენს ან ლაპარაკობს. მუსიკა პატარას ეხმარება მათემატიკის შესწავლაში, უუმჯობესებს ყურადღებასა და მეხსიერებას, ასევე, აჩვევს აბსტრაქტულ, ასოციალურ და ლოგიკურ აზროვნებას.

ხუთხაზიან სანოტო სისტემაში ჩატეული ჟანრული მრავალფეროვნება უძველესი დროიდან მოჰყვება ჰომოსაპიენსს და შეესაბამება მისი ყოფის სხვადასხვა მომენტს: ლხინს, გლოვას, მუშაობას. რიტმი ფიზიკურ შრომას შემოქედებად აქცევდა და სამუშაოს სიმძიმეს ამსუბუქებდა. ასევე მუსიკა გვეხმარება ყოველდღიური ყოფის ისედაც „აუტანელი სიმსუბუქის“ დაძლევაში.

ხშირად სიტყვებზე უკეთ სწორედ მუსიკა გადმოსცემს ჩვენს სათქმელს. „მუსიკა არა ნოტებში, არამედ მათ შორის არსებულ სიჩუმეშია,“ - წერდა მოცარტი და ბევრჯერ ჩვენც გვიყვარს მოსმენა „ხმისა“, რომელიც ხშირად ადამიანებთან საუბარსაც კი გვირჩევნია, რადგან, როგორც ფრიდრიხ ნიცშე ამბობდა, „სიტყვები მთავრდება იქ, სადაც მუსიკა იწყება“.

ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

23 აპრილი-წიგნის ჩუქების დღე

წიგნის საერთაშორისო დღეს საფუძველი ჯერ კიდევ 1923 წელს კატალონიაში ჩაეყარა. მიგელ დე სერვანტესის გარდაცვალების დღეს, 23 აპრილს, მამაკაცები ქალებს ვარდებს ჩუქნიდნენ, ქალები კი მხოლოდ მათ რჩეულ მამაკაცებს - წიგნებს. წიგნი იმ დროში დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა, ამიტომ ამის საშუალება მხოლოდ დიდგვაროვანი წრეების წარმომადგენლებს ჰქონდათ. 1995 წელს იუნესკომ 23 აპრილი ოფიციალურად გამოაცხადა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღედ.

მისი აღნიშვნა 1996 წლიდან დაიწყო. იუნესკომ, პირველ რიგში, ამით ახალგაზრდებს მოუწოდა, რაც შეიძლება მეტი ეკითხათ. 2019 წლიდან ეროვნული ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორის გიორგი კეკელიძის ინიციატივით 23 აპრილი-წიგნის საერთაშორისო დღე-„წიგნის ჩუქების“ დღედ დაარსდა საქართველოში. ინიციატივის მთავარი მიზანი, ქვეყანაში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია გახლდათ. ლიტერატურა, წიგნი, მისი განხილვა ადამიანებს კიდევ უფრო აახლოვებს ერთმანეთთან, ამიტომ ეს დღე თითოეული ჩვენგანისთვის კიდევ ერთ საინტერესო და სახალისო დღესასწაულად იქცა, წიგნების ჩუქება კი სასიამოვნო ჟესტად.

წიგნი ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და ბრძნული საჩუქარია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ვაჩუქოთ ჩვენს მეგობრებსა და ახლობლებს. ძველ დროს წიგნის საჩუქრად მიწოდება პატივისცემის გამოხატვის განსაკუთრებულ გზად ან სხვა ადამიანების გაცნობის ხერხად ითვლებოდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციად ქცეული „წიგნის ჩუქების დღე“ სხვადასხვა აქტივობების ფონზე აღინიშნა. როგორც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ასევე ყველა სოფლის ბიბლიოთეკებში მოეწყო საინტერესო შეხვედრები საზოგადოებასთან, წიგნის საჩუქრად გადაცემა მათთვის და წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება. ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ დღეს თითოეულ თანამშრომელს სახლიდან მოაქვს წიგნები და საჩუქრად გადასცემენ ჩვენს თანამოქალაქეებს. 23 აპრილს ბიბლიოთეკის სპეციალისტის თინიკო ელაშვილის ინიციატივით მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს გადასცეს წიგნი საჩუქრად, რომელმაც თავის მხრივ რამოდენიმე ცნობილი კლასიკოსის წიგნი აჩუქა ბიბლიოთეკას. წიგნის ჩუქების აქციის და საბიბლიოთეკო კვირეულის (22აპრილი - 22მაისი) ფარგლებში ბიბლიოთეკაში სტუმრად იმყოფებოდნენ მესამე ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები პედაგოგ ქეთინო ჯალიაშვილის ინიციატივით.

ასეთი ღონისძიებების ჩატარება შესანიშნავი შესაძლებლობაა წიგნზე ყურადღების გადასატანად არა მხოლოდ მოზრდილებისთვის, არამედ ბავშვებისთვისაც. ასეთ საინტერესო და ორიგინალურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება უამრავ დადებით ემოციას იწვევს.

წიგნის ჩუქების დღე შთააგონებს ხალხს, ერთმანეთთან საინტერესო წიგნების გაზიარებას და გვაჩვენებს, რომ წიგნი დღემდე ითვლება აქტუალურ საჩუქრად და არ კარგავს თავის ძალასა და მნიშვნელობას ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაშიც კი!

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

აჩუქე წიგნი, გააზიარე ცოდნა

23 აპრილს მსოფლიოში წიგნის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. თარიღი „იუნესკომ“ აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. წიგნის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად საქართველოშიც აღინიშნება.

„იუნესკოს“ გადაწყვეტილება მსოფლიომ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. განსაკუთრებით აქტიური ორი ქვეყანა გამოდგა: ნიდერლანდები, სადაც ამ დღესასწაულს „თეთრი წიგნის კვირეულით“ აღნიშნავენ და დიდი ბრიტანეთი, სადაც წიგნის მსოფლიო დღე დიდ დღესასწაულად იქცა.

რამდენიმე წელია, საქართველოშიც აქტიურად აღნიშნავენ წიგნის საერთაშორისო დღეს და „აჩუქე წიგნის“ აქციასაც დიდი ენთუზიაზმით უერთდებიან.

24 აპრილს „სულაკაურის გამომცემლობა“ დედოფლისწყაროს ყველასთვის საყვარელი აქციით ეწვია. გამომცემლობის წარმომადგენლებმა მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, ფიროსმანის სკვერში, სახელდახელო დახლი ღია ცის ქვეშ გამართეს და ნაირ-ნაირი წიგნები მოათავსეს. წიგნის მოყვარულებმაც არ დააყოვნეს და სასურველი წიგნების შერჩევას შეუდგნენ. აქციის ფარგლებში, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ეძლეოდა, ეყიდა ერთი წიგნი და მეორე, მისთვის სასურველი ავტორის ნაწარმოები, ოღონდ იმავე ღირებულების, საჩუქრად მიეღო.

გამომცემლობის „მოძრავი მაღაზია“ 16:00 საათზე დაიკეტა და ბევრი მკითხველი გაახარა. აქციის ფარგლებში, თითოეულ მომხმარებელს მაქსიმუმ 250 ლარის ღირებულების წიგნების შეძენის შესაძლებლობა ჰქონდა, ხოლო საჩუქრად ერთი და იმავე დასახელების მხოლოდ ერთი წიგნის არჩევა შეეძლო.

საალდგომოდ სასაფლაოები დაასუფთავეს



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასაფლაოების დასუფთავების სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. გაწმენდის პროცესში სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის მონაწილეები არიან ჩართულნი.

როგორც პროგრამის ქედების ზონის კოორდინატორმა **შალვა ხორნაულმა** გაზეთ „შირაქს“ აცნობა, გასულ კვირას დასუფთავდა სამთაწყაროს, ფიროსმანის, საბათლოს, ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის სასაფლაოები. ხმელი ტოტებისგან, ჯაგნარისგან, ბალახებისა და ველურად მზარდი მცენარეებისგან გაიწმინდა მიტოვებული საფლავები და სასაფლაოს შიდა და გარე ტერიტორია.

ქალაქ დედოფლისწყაროს ჯგუფის წევრმა **ინგა წიკლაურმა** გაზეთ „შირაქს“ უთხრა, რომ დასუფთავების სამუშაოები ქალაქ დედოფლისწყაროში, ე.წ. ხევსურების სასაფლაოს ეზოში, მესერსა და გზებზეც განხორციელდა.

„შარშანწინ, რაც პრემიერმა ღარიბაშვილმა ეს პროგრამა აამოქმედა, მას შემდეგ არიან ეს გოგონები ამ ჯგუფში დასაქმებულნი. მე კი შარშან იანვარში დავსაქმდი, შემოვუერთდი მათ და მას შემდეგ ვაქტიურობთ. 36 ადამიანი თითქმის ყოველდღიურად ვმუშაობთ, ზოგადად სხვადასხვა ადგილებს ვალაგებთ ხოლმე. სასაფლაოს გარდა ვასუფთავებთ თამარის ციხეს, ცალმხრივებს, შირაქისა და სტალინის ქუჩებს. ნამდვილად გვიფასდება ჩვენი შრომა და ყურადღებასაც ვგრძნობთ ხელმძღვანელი პირების მხრიდან. სადღესასწაულო დღეებში ყვავილები გვაჩუქეს და გაგვიხალისეს ყოველდღიურობა. ძალიან მადლიერი ვართ მათი,“ — ამბობს ინგა წიკლაური.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ჯგუფები სასაფლაოებს არა მხოლოდ წინასააღდგომო პერიოდში ასუფთავებენ, არამედ წლის სხვა სეზონზეც რამდენჯერმე ახდენენ. სასაფლაოებს თავად ოჯახებიც უვლიან, განსაკუთრებით სააღდგომოდ, თუმცა ბევრია ისეთიც, რომლებიც დედაქალაქსა თუ სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ, ან მუშაობენ, რის გამოც სოფლებში წინაპრების სასაფლაოების მოვლა-პატრონობას ვეღარ ახერხებენ. დასაქმების პროგრამის ამოქმედებამდე სააღდგომოდ დედოფლისწყაროში ზოგჯერ ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, ზოგჯერ კი სკოლის მოსწავლეების ჩართულობით სასაფლაოების დასუფთავების აქციები წინა წლებშიც ჩატარდა.

ილია მარტყოფლიშვილი

წყალმომარაგების პრობლემა სოფელ ქვემო ქედში

ტემპერატურის მატებასთან ერთად დედოფლისწყაროელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხად წყალმომარაგების საკითხი დგება დღის წესრიგში. გასულ ზაფხულს მდინარე ივრიდან ამოსულმა წყლის ჭარბმა მარაგმა რაიონულ ცენტრსა და მის მიმდებარე სოფლებში წყლის უკმარისობის პრობლემა უკვე აღმოფხვრა, თუმცა ისევ რჩება სოფლები, სადაც რესურსის სიმცირე კვლავ დგას. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, როგორია ამჟამად სოფელ ქვემო ქედის წყალმომარაგების გრაფიკი და რა იგეგმება ვითარების გამოსასწორებლად?!

„შირაქმა“ წყლის გრაფიკთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის ყველა წერტილში გამოკითხა. ამ დრომდე ქვემო ქედის ყველა უბანს წყალი ყოველდღე მიეწოდებოდა, თუმცა ტემპერატურის მატებასთან ერთად გრაფიკის გაუარესებისა და წყლის დეფიციტის მოლოდინი ისევ აქვთ.

„აქამდე უწყვეტად მოდიოდა, ნალექიანი ამინდები იყო, ტემპერატურაც ჯერ არ მომატებულა და ამ მხრივ შეფერხება არ გვაქვს. როგორც კი რწყვის პერიოდი მოვა და დაცხება, ჯერ დღეგამოშვებით გვაქვს ხოლმე, შემდეგ სამ დღეში ერთხელ, ზაფხულის ცხელ დღეებში კი 5-6 დღეში ერთხელ თუ მოვიდა და ისიც რამდენიმე საათით, მოსახლეობა მარაგის აღებასაც ვერ ასწრებს. ზოგადად, მლაშე წყალი მოდის, ვისაც შესაძლებლობა აქვს სასმელად წყალს ყიდულობს, ვისაც არა და სხვა რა გზაა, ამ წყალს სვამენ. ხარისხითაც არ ვართ კმაყოფილი, კარგად უნდა იფილტრებოდეს და ისე მოდიოდეს. მაგალითად ე.წ. კობახჩოს უბანში ქვემოთ ძალიან ცუდად მოდის ხოლმე, მაგრამ ახლა იქაც უპრობლემოდ გვაქვს. მაგრამ უახლოეს დღეებში უკვე ველოდებით პრობლემებს. კვირაში ერთხელ რომ მოვა წყალი, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა?... თუ ახალი ჭაბურღილები გაკეთდა და დეფიციტი აღმოფხვრა, ამას რა ჯობია. მივესალმებით ამ ნაბიჯს და აუცილებელია დებეტის გაზრდა, სხვანაირად ქვემო ქედს საკმარისი წყალი არ აქვს და ზაფხულში აქ არსებობა გაუსაძლისია. ახალგაზრდებსაც არ უნდათ დაბრუნება. არდადეგებზე შვილიშვილები რომ ჩამოდიან ხოლმე, უწყლოობის პრობლემას რომ აწყდებიან, იძულებულნი არიან დროზე ადრე წავიდნენ“. — აღნიშნავენ ქვემო ქედელები.

სოფელ ქვემო ქედის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში **ავთანდილ ხუმარაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ სოფლისთვის დებეტის გაუმჯობესების მიზნით გასულ წელს ახალი ჭაბურღილი დაემატა, თუმცა არ გაამართლა: „ამ დრომდე გრაფიკის პრობლემა არ იყო, მაგრამ ახლა უკვე ამოქმედდა შეზღუდვა დღე-გამოშვებით.“

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენელი ქედების ზონაში* გელა დელიბაშვილი *„შირაქს“ ეუბნება, რომ ახლადშერჩეული ადგილები, სადაც ჭაბურღილის გათხრა იგეგმება, გაცილებით საიმედოა. ამჟამად არსებული წყლის რესურსი კი ადგილობრივებისთვის საკმარისი არ არის.

„ამჟამად დღე-ღამის განმავლობაში ყველა რესურსიდან ჯამში 250 ტონა წყლის მოგროვებას ვახერხებთ. ზედაპირული წყლებით, ასევე ახლადდაბურღული ჭიდან და ე.წ. რუსის წყლიდან ჯამში 250—270 ტონა გროვდება. დაბლა არის 50 ტონიანი ავზი, იქიდან იტუმბება მთავარ წერტილში, ხოლო ზემოთ 5 ცალი 50 ტონის ტევადობის ავზი გვაქვს. დებეტის გასაზრდელად ავზებთან გაკეთდა ახალი ჭაბურღილი, სპეციალისტები მოიყვანეს, დაპროექტდა და გაიბურღა, მაგრამ რატომღაც საკმარისი წყალი არ ამოვიდა. ამოტუმბვას რომ დავიწყებთ, 4-5 წუთში წყალი თავდება და ითიშება. მერე 30-40 წუთი ლოდინი უნდა, ჩაირთვება და ისევ რამდენიმე წუთში ითიშება. მოგვიანებით სიღრმეც დამატეს, დაახლოებით 140 მეტრამდე გაიბურღა, მაგრამ მაინც არ ეშველა, 70-იანი მილია ჩაფენილი და ვერ გვამარაგებს საკმარისად. არის დაპირება, რომ ახალი ჭაბურღილი უნდა გაკეთდეს სალოცავთან, იქ ადრეც იყო ჭაბურღილი და მე მოვესწარი იქიდან რომ წყალი ამოდიოდა, მაგრამ დიდი ხანია ეს აღარ მოქმედებს და გაუქმებულია. მიუხედავად ამისა, იმედიანად ვარ, რომ ეს ადგილი უფრო გაამართლებს და ამ პრობლემას გადაჭრის.

სხვათაშორის, როცა ავზებთან ამ ჭაბურღილს თხრიდნენ, ჩვენ მაშინვე ვამბობდით, რომ ჯობდა იმ ადგილას დაგვებურღა, სადაც ახლა გეგმავენ, იქ მეტი შანსი და რესურსი გვეგულება. იქ არტეზიული წყლებია და დღე-ღამეში 300 კი არა, შეიძლება 500 ტონაც მივიღოთ, რაც წყლის პრობლემას გადაჭრის... არ არის ქვემო ქედში ბევრი ხალხი, რომ დიდი დატვირთვა იყოს და ვერ გავაწვდინოთ. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, სამთაწყაროში არსებული ჭაბურღილის გვერდით ზემო ქედისა და არხილოსკალოსთვის გაკეთდა დამატებითი ჭაბურღილი, იქ კი ამოვიდა წყალი, მაგრამ ძველ ჭაბურღილში რესურსმა იკლო. ამიტომ, შესაძლოა, ჭაბურღილის დამატება წყლის დამატებითი რესურსის მოძიებას არ ნიშნავდეს. რაც შეეხება ქვემო ქედის წყალმომარაგების ამჟამად არსებულ მდგომარეობას, ამ დრომდე გრაფიკის დაწესების აუცილებლობა არ გვქონდა, მაგრამ უკვე ორი დღეა გადავედით შეზღუდვებზე, სოფელი ორად გაიყო და წყალი დილის 8 საათიდან საშუალოდ 15:00 საათამდე იქნება, დღეგამოშვებით. სანამ წყლის რაოდენობა გვეყოფა და რეზერვუარები არ დაიცლება. როცა ჩავკეტავთ, მერე დილამდე შეგროვება მოხდება და ახლა მეორე ნაწილს მიეწოდება. დაპირება არის, რომ ჭაბურღილები დაემატება, თუმცა როდის დაიწყება სამუშაოები, ან რამდენი ბურღი გაკეთდება ამ დროისთვის ჩემთვის ცნობილი არ არის, არც ის ვიცი, რამდენი ჭა გაკეთდება. ეფექტურობას რაც შეეხება, გააჩნია რა სიღრმეზე მოხდება გაბურღვა. თუ ახალი ბურღი გაამართლებს, ეს ნიშნავს, რომ გაიზრდება წყლის დებეტი, ჯამური მოცულობა და მერე უკვე საჭირო გახდება ძრავებისა და ტუმბოების შეცვლა, რადგან ამჟამად არსებული სისტემა მეტ დატვირთვას ვერ გაუძლებს. ახლა 38 ტონას უშვებს და დამატებითი რესურსზე ვერ იმუშავებს. ვნახოთ რა იქნება“.

ილია მარტყოფლიშვილი

ტვინს უნდა, რომ ისინი ვიპოვოთ...

გლოვის პროცესი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც მძაფრი ემოციური და ფიზიკური რეაქცია, რომელსაც ინდივიდი ახლო ადამიანის, ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემდეგ განიცდის. გეშტალტ თერაპიის მიხედვით „ადამიანის ყველა ფუნქცია ორგანიზმის/გარემოს, სოციო-კულტურულ, ცხოველურ და ფიზიკურ სფეროში ურთიერთქმედებს. „ამის გათვალისწინებით, საყვარელი ადამიანის სიკვდილი ორგანიზმის/გარემოს სფეროში თვითრეგულაციის დისბალანსია და მწუხარების პროცესი ამ წონასწორობის აღდგენას წარმოადგენს. თავად პროცესი კი შეიძლება დავყოთ ხუთ ეტაპად:

ეტაპი 1

მოულოდნელი გარდაცვალების, ისევე როგორც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ოჯახი იმედგაცრუებული, შეძრწუნებული რჩება და არ შეუძლია სასტიკ რეალობას თვალი გაუსწოროს. თავდაპირველ დღეებს ნათესავებთან და მეგობრებთან შეხვედრები და მზადების პროცესი ავსებს. დაკრძალვის შემდეგ ოჯახს სიცარიელის შეგრძნება ეუფლება მას შემდეგ, რაც ნათესავები და მეგობრები მიდიან და იწყება ყოველდღიური ცხოვრების ეტაპი. ამ დროს ადამიანები თავიანთ თავს უსვამენ კითხვებს: ***„რატომ მე? რატომ ეს ადამიანი?“ და ყოველგვარი პასუხის გარეშე იწყება უარყოფა („ეს ნამდვილად კოშმარია;“ „გავიღვიძებ და მივხვდები, რომ ცუდი სიზმარი იყო...“).*** ბევრი ადამიანი დროს მოგონებებსა და ოცნებებში ატარებს. ზოგიერთი მათგანი არა მხოლოდ თავს განაცალკევებს სხვებისგან, რომ თავიანთ თავს საქმეს ურთულებენ, თვალი გაუსწორონ საყვარელი ადამიანის გარდაცვალებას. ეს სიტუაცია, მძიმე დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ღრმა მწუხარებისა და მარტოობის მდგომარეობა. გეშტალტის გადმოსახედიდან, მწუხარე ადამიანი ამ ეტაპზე კონტაქტის პროცესს რადიკალურად შეცვლილად (შეწყვეტილად) აღიქვამს. თავდაპირველად, როგორც წესი, მისი რეაქცია ნორმასთან შედარებით დაქვეითებულია; უარყოფას მოყვება დროებითი, არასტანდარტული ფუნქციონირება, რაც მოიცავს სიზმრებს, ცოცხლად წარმოსახვასა და ფსევდოჰალუცინაციებს. პირველი ერთგვარი თავდაცვაა, მეორეს მიზანს კი „ჭარბი დაძაბულობის ენერგიის ამოწურვა“ წარმოადგენს. ჩვეულებრივ, მგლოვიარე ადამიანს სურს იპოვოს ადამიანი, რომელთანაც საყვარელ ადამიანზე ისაუბრებს - ცხოვრების ისტორიების მოყოლა, მათი კარგი მომენტების გაზიარება, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს, გემოვნება, პროექტები, რომლებიც ჩაიშალა, ისევე როგორც ცუდი მომენტები და გარდაცვლილი ადამიანის „სიჯიუტე.“ ავტორი იხსენებს, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში არ შეხვედრია მწუხარე ადამიანს, რომელიც გარდაცვლილ ადამიანზე სპონტანურად ლაპარაკს არ იწყებდა. მათ თვალები „შუშისებრი“ უხდებოდათ არა მხოლოდ საყვარელი ადამიანის გარდაცვალებისგან გამოწვეული ტკივილის გამო, არამედ მათზე სახალისო, ამაღელვებელი ისტორიების გახსენების და გაზიარების დროსაც.

ეტაპი 2

მათ, ვინც სიკვდილის თემა კარგად იცნობს, ხშირად უკვირთ, როდესაც იგებენ, რომ მწუხარება სიკვდილითაა გამოწვეული. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ავადმყოფი ადამიანის, ასევე ოჯახისთვის, როდესაც მწუხარება კატასტროფული ან უკურნებელი დაავადების შედეგია. მაგრამ ეს ეტაპი სიკვდილით გამოწვეული გლოვის დროსაც არსებობს, თუმცა არა ასეთ აშკარა ფორმით. თუკი პირველ ეტაპზე ადამიანი სინამდვილეს გაურბის, უარყოფს, ეს „შეთანხმებისა“ და „ვაჭრობის“ საშუალებას იძლევა. ამ დროს ცოცხალი ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ ჩაფლულია რეალობის შოკში, უშედეგოდ ცდილობს მოლაპარაკება აწარმოოს (ღმერთთან, სიცოცხლესთან, გარდაცვლილთან, უზენაეს არსებასთან და ა.შ.) და იძლევა დაპირებას რაღაცის სანაცვლოდ. ეს მოლაპარაკებები ახალი ამბების გაცნობიერებისა და ემოციური მუხტის ინტენსივობის გადავადების გზაა. ამავდროულად, იგი ხელს უწყობს შემდეგ ეტაპზე გადასვლას: დანაშაულის გრძნობის გარეშე მისცენ ბრაზს, რისხვას, აღშფოთებას არსებობის საშუალება. ამ ეტაპის დასასრულს ორი ელემენტი ახასიათებს. პირველი დასაბამს აძლევს მრისხანებას, მეორეს კი ავტორი „რიტუალს“ უწოდებს, რომელშიც შესაწირავს მოიაზრებს. ეს არის უარი გარდაცვლილი ადამიანის წინაშე (როგორც წესი, გაუცნობიერებლად), თითქოს მეხსიერების გასაგრძელებლად. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ექთანი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ მამა გარდაეცვალა. ერთხელ, ტირილის დროს, ავტორმა მას ჰკითხა, რას იზიარებდნენ ისინი ერთმანეთში და რა დაკარგა მან მამის გარდაცვალებით, რაზეც ექთანმა დაუფიქრებლად უპასუხა: ***„მას მოხარშული კრემი უყვარდა, მაგრამ იმ დღის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა, აღარასდროს, არავისთვის მომიმზადებია ის.“*** ავტორი აღნიშნავს, რომ ექთნის საუბარში გამოწვევისა და სიამაყის ნაზავი იგრძნობოდა და მან ტირილი ნაკლები ინტენსივობით განაგრძო.რიტუალის მთავარი არსი არა იმ საქმიანობის აღდგენაა, რაც ინდივიდმა შეწყვიტა, არამედ სიტუაციის გაცნობიერება.

ეტაპი 3

მომხდარის შემდგომ ველში შემოდის მრისხანების განცდა, ბრაზი თუ რატომ მოხდა ეს. მართალია მწუხარე ადამიანი ტირის და დარდს გრძნობს გლოვის პირველ ეტაპზე, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს ცრემლები და დარდი „მხოლოდ თავისთვისაა.“ ბრაზი და რისხვა საწყისი ემოციებია. კუბლერ-როსი (1969/1973) აღნიშნავს: როდესაც უარყოფის პირველი ეტაპი ველარ ნარჩუნდება, მას სიბრაზის, მრისხანების, შურისა და უკმაყოფილების გრძნობები ანაცვლებს. ***გეშტალტის პროფესიონალებმა იციან, რომ ემოციები შეიძლება გაცნობიერების გარეშე არსებობდეს. ამ ეტაპზე მწუხარე ადამიანები სვამენ კითხვებს, რომლებიც პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში დაუსვეს თავიანთ თავს: „რატომ მე? მე რატომ დამემართა? რით დავიმსახურე?“.*** ზოგჯერ გარდაცვლილის მიმართ გარკვეულწილად თავს იჩენს წარსულ ამბებთან დაკავშირებული დანაშაულის განცდა. ამ დროს ისინი ეჭვს გრძნობენ ღმერთის, ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე და ა.შ. მათ პასუხები არ აქვთ თავიანთ კითხვებზე. პასუხები არ აქვს არც თერაპევტს, რომელიც არც კი ცდილობს ამ კითხვებს უპასუხოს. თერაპევტი ასევე არ ცდილობს რაიმე რელიგიური იდეის დანერგვას, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ინდივიდი რელიგიური. იგი იღებს მათ განცხადებებსა და რწმენას.

გეშტალტ თერაპიის თანახმად, ჩვენ განადგურების ფაზაში ვართ, სადაც აგრესია და ბრაზი აუცილებელია. მგლოვიარე ინდივიდმა უნდა გაანადგუროს აუტანელი მდგომარეობა და სასიყვარულო ობიექტის დაკარგვა, რათა პროცესი დამაკმაყოფილებლად გაგრძელდეს. როგორც პერლსი და სხვები (1951) აღნიშნავენ, „განადგურება (დე-სტრუქტურირება) არის გლოვის ყველა პროცესის ფრაგმენტებად დანგრევა, რათა ისინი ახალ მთლიანობაში ასიმილირდნენ.“ ამ ეტაპის ბოლოს მწუხარე ადამიანები საყვარელი ადამიანის დავიწყების შიშზე, ყველა დეტალის, ჟესტის დამახსოვრების აუცილებლობაზე საუბრობენ. ისინი ზოგჯერ ამბობენ, სახის მახასიათებლების დამახსოვრება უჭირთ, ან თავს დამნაშავედ გრძნობენ. განადგურება იწყება, და შესაბამისად ჩნდება შიში და შფოთვა, რაც შემდეგ ეტაპს აძლევს დასაბამს.

ეტაპი 4

სევდა ბრაზის შემდეგ ჩნდება, ზოგჯერ მასთან მონაცვლეობით. ახლა თითქოს დაწუხრებულმა ადამიანმა ორგანულად იცის დანაკარგის შესახებ. ის აღარ არის მხოლოდ რაციონალური და გონებრივი. უნდა ითქვას, რომ დანაკარგი იგრძნობა, არარსებობა განიცდება. ***ეს ყველაზე დელიკატური ეტაპია, რადგან ინდივიდი დანაკარგს განიცდის არა მხოლოდ საყვარელი ადამიანის არყოფნის, არამედ იდეების, გეგმების, გრძნობების, ინტერესების, პროექტების, იმედების უკმარისობის სახით.*** ეს ის ეტაპია, როდესაც ადამიანები თავიანთ თავის უფრო მეტის უფლებას აძლევენ. მათთვის ჭამა რთულია, ცუდად ან საერთოთ არ სძინავთ, არიან აპათიურები, არ შეუძლიათ კონცენტრირება. დეპრესიული ტენდენციის მქონე ადამიანებს შეიძლება ამ ეტაპზე თვითმკვლელობის იდეაცია ან მცდელობა ჰქონდეთ. ეს არის დანაშაულის გრძნობების ეტაპი: მწუხარება, სასონარკვეთა, მაგრამ ასევე სიყვარული, ბედნიერება...

ეტაპი 5

აღიარება ზარალის ათვისების ტოლფასია. მწუხარების ამ, ბოლო ეტაპზე მისასვლელად წინასწარ განსაზღვრული დრო არ არსებობს. ის მწუხარებასა და აღორძინებას შორის მერყეობს. ამ დროს ერთვება ერთგულების ჩვევა, ანუ გარდაცვლილი ადამიანის ზოგიერთი მახასიათებლის გამორკვევა, რომელიც აუცილებელ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს აკმაყოფილებს, და რომელიც „წარმოადგენს ძალას შემდგომი მოქმედებისათვის.“ ეს ერთგულება შეიძლება ასევე დავინახოთ გარდაცვლილი ადამიანის ჩვევების, ტანსაცმლისა და საგნების დაცვაში. გარდა ამისა, ასიმილაციის ამ ბოლო ეტაპზე ინდივიდი გარკვეული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას განიხილავს.

გლოვისას ტვინში არაერთი განსხვავებული პროცესი მიმდინარეობს. სამედიცინო სკოლის ნევროლოგებს, თუ დავეყრდნობით, ტვინი ტრავმულ დანაკარგს საშიშროებად აღიქვამს, რომელიც გადარჩენას ემუქრება.

„ევოლუციური თვალსაზრისით, ტვინისათვის გადარჩენის უზრუნველყოფაა პრიორიტეტული. შესაბამისად, ნებისმიერ რამეზე, რაც ამისათვის საფრთხედ აღიქმება, ტვინი მძაფრად რეაგირებს, რაც სხეულის მრავალ რეგიონზე აისახება არაპირდაპირ, ჩვეულებისამებრ, ფიზიკურ ტრავმას აღვიქვამთ საფრთხედ, თუმცა სერიოზულ ემოციურ ტრავმასაც ანალოგიური შედეგები მოაქვს”. ***ტვინი თავის მიერ აღქმულ სხვადასხვა საფრთხეზე ერთნაირად რეაგირებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას სტანდარტული რეაქცია აქვს ნებისმიერ სერიოზულ ემოციურ ტრავმაზე, იქნება ეს: გლოვა, განქორწინება, სამსახურის დაკარგვა თუ ომში მონაწილეობა.***

ამიგდალა, ანუ ტვინის ის რეგიონი, რომელიც ემოციებზეა პასუხისმგებელი, ყოველთვის საფრთხის ძიებაშია. როცა მას რაიმე მოვლენა ააქტიურებს, მთელს სხეულში განგაშის სიგნალი ირთვება: გულისცემა ჩქარდება, სუნთქვა ხშირდება და კუნთებში სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება, რათა უკეთ ვიბრძოლოთ ან გავიქცეთ. საგულისხმოა, რომ გლოვის დროს, დღეების, კვირებისა და თვეების განმავლობაში ადამიანს არაერთი ისეთი რამ ახსენდება, რაც ამ რეაქციას გამოიწვევს; შედეგად ამიგდალა მით უფრო მგრძნობიარე და „ჰიპერფხიზელი“ ხდება.

„პრიმიტიული ტვინი ძლიერდება დახვეწილი ტვინის ხარჯზე, რომელიც განსჯასა და აზროვნებაზე აგებს პასუხს, ტვინი ზეგანაკვეთურად მუშაობს, რათა ემოციური ტრავმის საფრთხეზე ირეაგიროს, და ფსიქოლოგიურ დაცვის მექანიზმებს ააქტიურებს, მაგალითად უარყოფასა და დისოციაციას“.

მნიშვნელოვანი ევოლუციური ასპექტიც განსაზღვრავს იმას, თუ რატომ და როგორ ვუძლებთ გლოვას. „გლოვა, როგორც რეაქცია, თავდაპირველად განშორებაზე საპასუხოდ შეიძლება გაჩენილიყო, იმისათვის, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში განცალკევებისას – მაგალითად, როცა ბავშვები სკოლაში მიდიან ან მეუღლე მიდის სამსახურში – საყვარელ ადამიანებთან კავშირი შევინარჩუნოთ, ტვინში ძლიერი ნეიროქიმიკატები მათდამი ლტოლვას გვიჩენს, მათთან შეხვედრისას კი გვაჯილდოებს”.

ტვინი ხშირად საყვარელი ადამიანის სიკვდილზე ისე რეაგირებს, თითქოს ადამიანი მკვდარი კი არაა, არამედ უბრალოდ აქ არ არის. ***„ტვინს უნდა, რომ ისინი ვიპოვოთ, ან ისე მოვიქცეთ, რომ ჩვენს მოსაძებნად თავისით მოვიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველთვის გაცნობიერებულად არ ხდება, მგლოვიარეები ხშირად საუბრობენ შეგრძნებაზე, თითქოს მათი საყვარელი ადამიანი ერთ დღესაც უბრალოდ ისევ შემოაღებს კარს”.***

როდის გაივლის გლოვა?

დრო მკურნალიაო, ხშირად ამბობენ, თუმცა გლოვამ ტვინს ხანგრძლივი კვალიც შეიძლება დაამჩნიოს. განმეორებადი სტრესისა და ნეიროპლასტიკურობის (ტვინის გარემოსთან ადაპტაცია) გამო ემოციური ტრავმა ტვინის ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად ცვლის. დროთა განმავლობაში ამ მექანიზმების შედეგად შიშის პრიმიტიული ცენტრი ძლიერდება, დახვეწილი ტვინი (თავის ტვინის ქერქი) კი სუსტდება. ეს ცვლილებები დიდხანს ნარჩუნდება, თუმცა თერაპიისა და პოსტტრავმული ზრდის მეშვეობით მაინც შესაძლებელია სიტუაციის გამოსწორება. პოსტტრავმული ზრდა ტექნიკაა, რომელიც ადამიანებს ეხმარება, თავიანთი გამოცდილებიდან ახალი საზრისი აღმოაჩინონ და იმისგან განსხვავებულად იცხოვრონ, ვიდრე ტრავმის მიღებამდე.

„მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მართალია, ზოგიერთმა მოვლენამ, ადგილმა ან თარიღმა გლოვის ტალღა შეიძლება წამოიღოს, თუმცა ტვინი კრიზისს ნელ-ნელა მაინც უმკლავდება. ამისათვის ყველას სხვადასხვა დრო სჭირდება. დაძლევის პროცესში ტვინი ახალ ნერვულ კავშირებს აყალიბებს და ტრავმის კომპენსაციას ახდენს”, –განაცხადა დოქტორმა უმა სურიადევარამ, ფლორიდის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის ასოცირებულმა პროფესორმა, „ზოგ ადამიანს „გახანგრძლივებული გლოვის აშლილობა“ ემართება, რა დროსაც სიმპტომები ძალიან დიდი ხნით გრძელდება, თუმცა, ჩვეულებრივ, ეს სამუდამო არაა. შეგვიძლია გლოვა სწავლის ერთ-ერთ ფორმად მოვიაზროთ და ჩავთვალოთ, რომ იგი გლოვის გადალახვასაც უწყობს ხელს და ყოველდღიურ ფუნქციონირებასაც. ტვინი ცდილობს ყველა იმ სიტუაციაში გამოერკვეს, რომელშიც თქვენი საყვარელი ადამიანი მანდ უნდა იყოს, მაგრამ როგორლაც არ არის”, – თქვა მან – „ამას კომპიუტერს ვადარებ, რომელიც ფონურ რეჟიმში პროგრამას აახლებს. შეიძლება ძალიან გაჭირდეს ვორდის დოკუმენტში წერა, როცა ფონურ რეჟიმში იგი სხვა რამეზე მუშაობს და ეკრანზე სიტყვები ნელა გამოაქვს. ვფიქრობ, ტვინიც ასევე გაფანტულია, როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტივი საქმეების კეთებას ვცდილობთ და, უდავოდ, როცა რთული რაღაცების კეთებას ვცდილობთ”.

გაფანტულობა და კონცენტრაციის სირთულე, როგორც წესი, დროთა განმავლობაში გაივლის ხოლმე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლოვა კომპლექსური რეაქციაა დანაკარგზე. მას ემოციური, კოგნიტიური, ქცევითი და ფიზიოლოგიური ცვლილებები ახასიათებს, ანუ ამ რეაქციის წარმოქმნაში ტვინის არაერთი რეგიონი მონაწილეობს.

ამ ეტაპზე ძალიან ცოტაა ისეთი კვლევა ჩატარებული, რომელთა ფარგლებშიც მგლოვიარე ადამიანის ტვინის აქტივობას შესაბამისად დააკვირდებოდნენ. შესაბამისად, ისლა დაგვრჩენია ვიმედოვნოთ, რომ ამ გამოცდილების შესახებ სამომავლოდ მეტის გაგებას შევძლებთ – მართალია, გლოვის ზოგიერთი ასპექტი შედარებით კარგადაა შესწავლილი, თუმცა საკვლევი ჯერაც ბევრია.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

„არ დავიწყება მოყვრისა, არ ოდეს გვიზამს ზიანსა“

ამ დღეებში ღია ცის ქვეშ, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში კამერული მუსიკის საღამო მიეძღვნა საქართველოს დამსახურებული მექანიზატორის, დიდი მელომანის მიხეილ (მიშა) ჭიჭინაძის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს.

იგი წარმოჩენილია ფილოლოგიის დოქტორის ოთარ ნაცარაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნში „კახეთის გამოჩენილი ადამიანები“. ის დიდი მოწიწებით აცოცხლებს ღირსეულ ქართველთა ხსოვნას, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჭეშმარიტ მამულიშვილთა დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე. მისი საქმიანობის შესახებ მასალები ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კამერული მუსიკის საღამოში მონაწილეობდნენ: კომპოზიტორი გიორგი შავერზაშვილი, რომელმაც ქართველი კომპოზიტორების შედევრი ნაწარმოებების პოპური შესთავაზა მსმენელს, თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრის პირველმა მევიოლინემ, მსოფლიოს მევიოლინეთა კავშირის წევრმა ლელა მჭედლიძემ ვაჟა აზარაშვილის სკერცო ააჟღერა, დიმიტრი ბოქოლიშვილმა კლარნეტზე გასაოცარი ქართული ჰანგებით დაატკბო მსმენელი, მევიოლინე თეა ჯავახიამ და პიანისტმა თამარ ჟვანიამ ფრანგი კომპოზიტორის კლოდ დებიუსის რამოდენიმე ნაწარმოები შეასრულეს, კამერული მუსიკის საღამოს დასასრულს ოპერის წამყვანმა სოლისტებმა არმაზ დარაშვილმა და ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ მალხაზის პარტია „თავო ჩემო“, ლევან მაკარიძემ ამავე ოპერიდან „ცანგალას“ არიები და მაყვალა ასპანიძემ ბრწყინვალე სოპრანომ რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა“ ლელას არია შეასრულეს. თითოეულ ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა მსმენელი.

ხსოვნის საღამოს ინიციატორმა და ამავე წერილის ავტორმა, შვილიშვილმა მარიკა პოპიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას და კამერული მუსიკის საღამოში მონაწილე მუსიკოსებს და ოპერის სოლისტებს უღრმესი მადლობა გადაუხადა პაპის ხსოვნის ესოდენ დაფასებისათვის.

გმირის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს

მიხეილ (მათე) გვრიტიშვილის ნეშტი რუსეთიდან საქართველოში გადმოასვენეს. მეორე მსოფლიო ომში 83 წლის წინ დაკარგული გმირის ნეშტი მშობლიურ მიწას დაუბრუნდა. კიდევ ერთი გამოსამშვიდობებელი ცერემონია რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლში არსებულ მემორიალთან გაიმართა. როგორც მისი შთამომავლები „შირაქს“ უყვებიან, ნეშტს 9 მაისს მეუღლისა და შვილის გვერდით, ქვემო ქედის სასაფლაოზე დაკრძალავენ. სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონია სიმბოლურად ფაშიზმზე გამარჯვების დღეს დაამთხვიეს. გამოსვენება არხილოსკალოს ტაძრიდან მოხდება.

სახელმწიფო საზღვართან, რუსულ მხარეს, სწორედ იმ ადგილას, სადაც სამამულო ომში წასასვლელად ქართველთა შეკრება ხდებოდა, ახლა გმირთა პატარა მემორიალია. 18 აპრილს, სწორედ აქ შედგა ცერემონია, რის შემდეგაც ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. ქართული ფონდის „დაბრუნება“ ხელმძღვანელმა ზაზა მილაძემ „შირაქს“ განუცხადა, რომ ცერემონიას ესწრებოდნენ ვლადიკავკაზის მერი და მისი მოადგილე, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის მინისტრი ნაციონალურ საკითხებში, რომელიც დუშეთიდანაა წარმოშობით. ასევე სამხედროები და საძიებო რაზმის მეთაურები, სკოლის მოსწავლეები.

ამ დრომდე გვრიტიშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნეოდა და არც მისი საფლავი იყო ცნობილი. თუმცა, რამდენიმე კვირის წინ გაზეთი „შირაქი“ ექსკლუზიურად გიამბობდათ, რომ ქართულ-რუსული საძიებო ფონდების ძალისხმევით მისი ნეშტის მოძებნა და იდენტიფიცირება მოხერხდა. რუსეთში მის ნეშტს გასული წლის ივნისში მიაგნეს. ცნობილია, რომ სევასტოპოლში მებრძოლების უმრავლესობა ქართველი იყო, ამიტომაც ეს ოლქი საინტერესოა ქართული მხარისთვის და დაკარგულთა ოჯახებისთვის. ბევრი მათგანი პირდაპირ სანგრებშია დამარხული. სწორედ სევასტოპოლში მიაკვლიეს მიხეილ გვრიტიშვილის ნეშტსაც. ადგილზე მის ნეშტთან ერთად აღმოჩენილია სპეციალური კაფსულა, სადაც მისი ვინაობა გარკვევით იკითხება, ამიტომ მისი იდენტიფიცირებისთვის დამატებითი დნმ კვლევების საჭიროება აღარ იყო. ნეშტთან ერათად აღმოჩენილია მებრძოლის პირადი ნივთებიც. მიმდინარე წლის 22 თებერვალს ნეშტი სევასტოპოლიდან მოსკოვში, რიტუალების სასახლეში გადაასვენეს და ამ დრომდე იქ დაყოვნდა. გადმოსვენება რუსეთში მომხდარი ტერაქტის გამო გაჭიანურდა. მანამდე საძიებო ჯგუფი იჯახის წევრების მოძებნას ცდილობდა. საგვარეულო კავშირის დახმარებით მათ ქვემო ქედში მცხოვრებ გვრიტიშვილებს ეს სასიამოვნო ინფორმაცია მიაწოდეს.

პროცესში ჩართული ადამიანები გვიყვებიან, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეში სახელმწიფო საბიუჯეტო თანხები არ არის, საძიებო რაზმები ძირითადად შემოწირულობებით მოქმედებენ და არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით მუშაობენ.

თავად ამ გმირს ქვემო ქედში არ უცხოვრია, შესაბამისად მას სოფელში არავინ იცნობდა. მისი მეუღლე და შვილი ქვემო ქედში ომის დაწყების შემდეგ 1940-იან წლებში გადმოსახლდნენ. ამდენად, ამჟამად ამ სოფელში მისი შვილიშვილები და შვილთაშვილები ცხოვრობენ.

ქვემო ქედში გვრიტიშვილის ოჯახში გმირის შთამომავლები გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობენ, რომ სასიამოვნოა, როცა მებრძოლის ნეშტის მოძებნა და იდენტიფიცირება ამდენი წლის შემდეგ მაინც მოხერხდა. ისინი მადლობას უხდიან ქართულ და რუსულ მხარეებს საძიებო სამუშაოების წარმოებისთვის და გადმოსვენების პროცედურებში აქტიური ჩართულობისთვის.

გიორგი გვრიტიშვილი *(შვილთაშვილი):* „მიუხედავად იმისა რომ მათე პაპაზე მწირი ინფორმაცია ჰქონდა მამაჩემს, მე და ჩემს ძმას ხშირად გვიყვებოდა პაპამისზე. ძირითადად იმას გვიამბობდნენ, რაც ანიკო ბებოსგან გადმოცემით იცოდა და ახსოვდა. როდესაც გავიგეთ, რომ მისი ნეშთი რუსეთში იპოვნეს და მალე გადმოსვენებას აპირებდნენ, ოჯახი გაოცებულები და უზომოდ გახარებულები ვიყავით. და ახლა რაც უფრო ახლოვდება ის დღე, როცა ჩვენს სოფელში გადმოასვენებენ დასაკრძალად, მით უფრო ძლიერდება ის სიხარული, რაც თავდაპირველად განვიცადეთ. გაცილებით ცუდია, როცა ომში თავდადებული გმირი უგზო-უკვლოდაა დაკარგული და მის შთამომავლებს არ აქვთ კონკრეტული ადგილი, მისთვის პატივის მისაგებად... ახლა კი მნიშვნელოვანია, რომ მისი შვილისა და მეუღლის გვერდით დაიკრძალება. მოზარდს იმის გააზრება, რომ მისმა წინაპრებმა თავი გასწირეს, პატრიოტიზმის განცდას და ქვეყნის სიყვარულს კიდევ უფრო უმძაფრებს. ჩვენი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ორივე ქვეყნიდან ამ საქმისთვის იმუშავა და წვლილი შეიტანა“.

ილია მარტყოფლიშვილი

წინა საუკუნის ამბები ზემო ქედიდან

◆ 1956 - QEDIS ZONA 2 500-MDE KOMLS ITVLIS, DIDI RAODENOBIS TANXEBI IXARJEBA AM SOFLEBIS KETILMOWYOBISTVIS, MAGRAM AQAURI MOSAXLEOBIS CXOVREBA MAINC AR UMJOBESDEBA. AUSRULEBEL DAPIREBEBS BOLO UNDA MOEROS. WYLIT MOMARAGEBIS SAQME KVLAV MOUGVAREBELIA. QVEMO QEDIS, ARXILOSKALOS, ZEMO QEDIS MOSAXLEOBA WYALS ALAZANIDAN IREBS. CVENI GAZETIS FURCLEBZE ARAERTXEL YOFILA MOTAVSEBULI KRITIKULI WERILEBI, SADAC QEDELI MSROMELEBI SAMARTLIAN SAYVEDURS GAMOSTQVAMDNEN WYALSAQACI ARADAMAKMAYOFILEBEL MUSAOBAZE. DRO GADIS, MDGOMAREOBA KI UCVLELI RCEBA. AXLA, ROCA MINDVRAD GACXOVELEBULI MUSAOBAA DA TEMPERATURAC PIKS ARWEVS, SAGRZNOBLAD GAIZARDA WYALZE MOTXOVNILEBA. QEDELI KOLMEURNEEBIS WYLIT NORMALURAD MOMARAGEBAZE KI ARAVIN AR FIQROBS. SAWIROA GADAWRIT GAUMJOBESDES AM DIDI ZONIS MACXOVREBLEBIS PROBLEMA DA GAUMJOBESDES WYLIS MIWODEBA.

◆ 1960 - SUL UFRO KETILMOWYOBILI XDEBA ZEMO QEDI. RAIONIS SAXALXO GANATLEBIS GANYOFILEBAM GAXSNA 30 ADGILIANI SABAVSVO BARI, ROMELSIC ARIZRDEBIAN SOFLIS MUSA MOSAMSAXURETA DA KOLMEURNETA SVILEBI. BARS KOLMEURNEOBIS KANTORIS PIRVELI SARTULI AQVS DATMOBILI. KARGAD MOUWYVIAT SABAVSVO -S ZINEBELI, SAMZAREULO-SASADILO DA SATAMASO OTAXEBI. MOMSAXURE PERSONALI BAVSVEBS KARGAUVLIS DA KVEBAVS. MSRMELEBI KMAYOFILNI ARIAN.

◆ 1975 - ZEMO QEDI TIPIURI MAGALITIA IMISA, TU SABWOTA XELISUFLEBIS WLEBSI, ERT DROS CAMORGENILI, MIWUREBISA DA QOXMAREBIANI DASAXLEBA ROGOR SWRAFAD GADAIQCA TANAMEDROVE SOCIALISTUR SOFLAD, ROMELSAC AMSVENEBS FARTO, MOASFALTEBULI QUCEBI DA LAMARAD NAGEBI ORSARTULIANI SAXLEBI, ELEQTROWISQVILI DA AGURIS QARXANA, SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS OBIEQTEBI DA BIBLIOTEKA SAMKITXVELOEBI, ORI SKOLA DA SAAVADMYOFO. AXLO MOMAVALSI SOFELS SNOSA DA LAZATS SEHMATEBS KULTURIS SAXLISA DA SPORTULI DARBAZIS WARMOUDGENLAD MASSTABURI DA SESANISNAVI SENOBEBI.

◆ 1979 - IYO DRO, ROCA QVEMO QEDSI WERAKITXVIS MCODNE ISVIATOBAS WARMOADGENDA. MAGRAM OQTOMBRIS YOVLISSEMZLE SXIVEBMA AQAC SEMOASUQA DA SECVALA QVEMOQEDELTA KUTURULI CXOVREBIS DONE. DRES AQ ARIS OJAXEBI, SADAC 4-5 UMARLESGANATLEBULIA. XALXI SULIER SAZRDOS ITXOVS. GARKVEULI-PROBEBI SOFELSI UKVE ARIS, OTXI BIBLIOTEKA, ERTI SASUALO DA ERTIC DAWYEBITI SKOLA, KULTURIS SAXLI, KINO-DARBAZI. MAGRAM GANVITAREBAM MOITANA IS, ROM XALXS GAUCNDA MISWRAFEBA, SAKUTARI BIBLIOTEKA HQONDES. 800 KOMLIAN SOFELSI ARAA WIGNEBIS MARAZIA, SADAC AXAL WIGNEBS SEIZENEN, MARTALIA ZEMO QEDSI ARIS ZONALURI MARAZIA, MAGRAM CVENAMDE 10%-IC VER ARWEVS. DROA DAVAKMAYOFILOT MATI SULIERI MOTXOVNILEBEBI.

სოფელი ზემო ქედი. სოფლის განვითარებამდე ადგილობრივები ასეთ მიწურებში ცხოვრობდნენ.

◆ 1982 - WITELWYAROSI TQMULEBA DADIS, QEDELEBI BOZEBS VER ITANENO. QEDEBIS SOFLEBSI CENTRALUR GZAZE ORIVE MXARES GAMAVALI ELEQTRO TU SATELEFONO BOZEBIS GASAWIRI SAINTERESOA. ISVIATAD TU NAXAVT BOZS, ROMELSAC VERTIKALURI MDGOMAREOBA SECVLILI AR HQONDES, AN RAIME KVALI AR ETYOBODES DA ES YOVELIVE MTVRALI MZROLEBIS GAMOISOBIT. GANA SEIZLEBA, ISE GAMOTVRES DA GAMOIBRUJOS KACI, ROM SAKUTAR TAVSAC SAFRTXE SEUQMNAS DA GAREMOSAC ASETI ZIANI MIAYENOS?

(STILI DACULIA)

MOAMZADA ილია მარტყოფლიშვილმა

საქართველოში 48% კაცია, 52% ქალი

საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 75 წლამდე გაიზარდა. კერძოდ, საქსტატის ცნობით, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1.3 ერთეულით გაიზარდა და 75 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის — 70.6 წელი, ხოლო ქალებისათვის — 79.4 წელი.

2024 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 694 600 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1%-ით ნაკლებია. 2024 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 694.6 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 48% კაცია, ხოლო 52% ქალი.

შრომისუნარიან ასაკში მოსახლეობის წილი (15-64 წლის) — 64.3%-ს შეადგენს.

„2024 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 694.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1%-ით ნაკლებია.

2023 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-2 542) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-39 207).

2024 წლის იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 19.5%-ს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) — 64.3%-ს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი - 16.2%.

2024 წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 774.5 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების — 1 920.1 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48% კაცი, ხოლო 52% — ქალია. სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. 40 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 40 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით“,- ნათქვამია ინფორმაციაში.

„საქსტატის“ ინფორმაციითვე, წინა წელთან შედარებით, 2023 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1.3 ერთეულით გაიზარდა და 75.0 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის — 70.6 წელი, ხოლო ქალებისათვის — 79.4 წელი.

ამასთან, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.

გუნდური ჩემპიონატის თასი დედოფლისწყაროშია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენებს უმასპინძლა.

დედოფლისწყაროს უშუს ნაკრებმა (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) 2011 წლიდან დღემდე როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ჩემპიონატებზე არაერთ წარმატებას მიაღწია. მათ შორისაა მიმდინარე წლის მარტში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამართული უშუს თასის მერვე გათამაშება, სადაც დედოფლისწყაროელი სპორტსმენები გუნდური თასის მფლობელები გახდნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, უკანასკნელ წლებში დედოფლისწყაროში სპორტის არაერთი სახეობა გახდა პოპულარული, რაც ხელისუფლების მიერ განხორციელებული სწორი პოლიტიკის შედეგია. „ჩვენთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა. ამისთვის მუნიციპალიტეტში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, შედეგებიც სახეზე გვაქვს. მათი გამარჯვებები ჩვენთვის სტიმულია, რომ უფრო მეტად დავუდგეთ გვერდში ჩვენს სპორტსმენებს. უშუს ნაკრების წევრების წარმატებები აუცილებლად იმსახურებს კიდევ უფრო წახალისებას და ასეც მოვიქცევით“–განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ 25 მაისს დედოფლისწყაროში უშუ სანდას ღია პირველობა გაიმართება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სპორტსმენები მთელი საქართველოდან.

გიორგი ცისკარაული *(მწვრთნელი):* „ძალიან გახარებულები ვართ, რომ საქართველოს გუნდური თასი კიდევ ერთხელ მოვიგეთ. პირველად გარდამავალი თასი 2016 წელს მოვიპოვეთ, შარშან და წელს კი ეს გამარჯვება ზედიზედ ისევ ჩვენმა გუნდმა იზეიმა. ჩვენი ეს სიხარული იმანაც გააორმაგა, რომ დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გადაწყვიტა სპორტსმენებთან შეხვედრა დაენიშნა და ჩვენი გუნდი საკუთარ კაბინეტში მიიწვია. თითოეულ მათგანს გაესაუბრა, გამარჯვება მოგვილოცა და ყველა დეტალით დაინტერესდა. ბედნიერები ვართ, რადგან ასეთი გამამხნევებელი შეხვედრები ყოველთვის მეტი მოტივაციის მომცემია. მერმა პატარა საჩუქარიც გაგვიკეთა, რითაც ბიჭებიც გაახარა და მათი მშობლებიც. მივესალმებით და მოხარული ვიქნებით, თუ ასეთი ყურადღება და მხარდაჭერა აქტიურ სახეს მიიღებს და მეტი ხელშეწყობა იქნება. ჩვენი სურვილია და მცდელობას არ დავაკლებთ, რომ ყოველთვის წარმატებით ვიაროთ წინ, ყველა ჩემპიონატზე შევძლოთ შთამბეჭდავი შედეგის დადება. გვინდა დედოფლისწყაროელებს მეტი გამარჯვება ვაჩუქოთ, ხშირად ავაფრიალოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის დროშა. მომავალ წელსაც ველოდებით, რომ უკვე ზედიზედ მესამედ გუნდურ ჩემპიონატს ისევ ჩვენ მოვიგებთ და თასი ისევ დედოფლისწყაროში დარჩება. ასე რომ, ყველაფერი წინაა, მთავარი ისაა, რომ ჩვენ მაქსიმალურ ძალისხმევას ჩავდებთ საიმისოდ, რომ წინ ვიაროთ... ვაგრძელებთ ვარჯიშს, ვემზადებით მომავალი შეჯიბრებებისთვის. როგორც მერთან შეხვედრის დროს აღინიშნა, მომდევნო შეხვედრას უშუ სანდაში ამჯერად დედოფლისწყარო უმასპინძლებს, ამდენად ეს უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მთელი ძალისხმევით ვემზადებით. ვეცდებით, მშობლიურ რაიონში კარგი სანახაობა ვაჩვენოთ, სტუმრებსაც ღირსეულად დავხვდეთ და ადგილობრივი მაყურებელიც გავახაროთ. გვინდა მაქსიმალურად მომზადებულები გავიდეთ“.

ილია მარტყოფლიშვილი

რატომ შემცირდა შობადობა?— ფაქტები და ვერსიები

საქართველოში 2024 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 694 600 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1%-ით ნაკლებია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქსტატის მონაცემებით, 2023 წელს უარყოფითი ბუნებრივი მატება (-2 542) დაფიქსირდა. კერძოდ, 2015 წლიდან 2023 წლამდე საქართველოში შობადობა 30%-ით არის შემცირებული. კერძოდ, თუ 2015 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 59 249 იყო, 2023 წელს 40 214 შეადგინა. სტატისტიკის მიხედვით, შობადობა ყოველწლიურად მცირდება.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე ამბობს, რომ მოსახლეობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შობადობის კლებაა. მარტივად რომ ვთქვათ, სიკვდილიანობის მაჩვენებელთან მიმართებით, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა არასაკმარისია იმისთვის, რომ მოსახლეობის რიცხვი არა თუ გაიზარდოს, არამედ არ შემცირდეს მაინც.

რაც შეეხება შობადობის კლების მიზეზს, დემოგრაფი ერთ-ერთ ფაქტორად ცხოველების ყოლას ასახელებს. მისი აზრით, როდესაც ოჯახს ჰყავს ძაღლი, დამატებით ბავშვების ყოლაზე აღარ ფიქრობენ.

„ზოგადად, დემოგრაფიულ პროცესებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, შობადობა, სიკვდილიანობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის ის, რომ შობადობა მცირდება. 2015 წელს შობადობა იყო თითქმის, 60 000, 2021 წელს უკვე - 45 000, 2022 წელს - 42 000, ამჟამად ეს ჩამოვიდა - 40 000-ზე. თავის მხრივ, შობადობაზეც მრავალი ფაქტორი მოქმედებს, ეკონომიკური და სოციალური, მაგრამ ახლა კიდევ ერთი ფაქტორი დაემატა, დედაქალაქშიც და ყველგან უამრავი ძაღლია. ვიცი, გაგიკვირდებათ, ძაღლი რა შუაშია შობადობასთანო, მაგრამ თბილისში ამჟამად 270 000 ძაღლია და ყოველწლიურად იზრდება მათი რაოდენობა. ეს უარყოფითად იმიტომ მოქმედებს შობადობაზე, რომ ოჯახის წევრად ჰყავთ გახდილი, გაიგივებულია შვილთან. ბევრს ერთი კი არა, ორი-სამი ძაღლი ჰყავს ოჯახში და იმდენივე დრო და ფინანსები სჭირდება ძაღლს, რამდენიც ჩვილ ბავშვს. ერთი ან მაქსიმუმ 2 ბავშვი რომ ჰყავს, მესამეს აღარ აჩენს. სტატისტიკის მიხედვით, გაზრდილია მხოლოდ პირველი ბავშვის დაბადების რაოდენობა, თუმცა ორიც რომ იყოლიონ, ეს მაინც მოსახლეობის კლებაა. სტატისტიკურად ითვლება, რომ 2 ბავშვი ანაზღაურებს მშობლებს, მაგრამ თუ მაგალითად, 40 000 ბავშვი დაიბადა, აქედან ყოველწლიურად 500 -ზე მეტი ბავშვი კვდება, 15 წლამდე ასაკში ორჯერ მეტი, ამას ემატება ის, რომ ყველა არ ქორწინდება, ან ბავშვი არ ჰყავს, ამიტომ ამ ყველა ფაქტორს თუ მივიღებთ მხედველობაში, 2 ბავშვი მოსახლეობის კლებაა. უკვე მივედით იქამდე, რომ აღარ აჩენენ ბავშვებს, როცა ჰყავთ ძაღლი. ძირითადად, ერთი ბავშვი ჰყავთ. ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახლავთ შობადობის შემცირების, ამას ემატება სიკვდილიანობის მაჩვენებელი და მოსახლეობა რაოდენობრივად იკლებს“,- ამბობს ანზორ თოთაძე.

იყიდება!

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო ბინა ბელეტაჟზე, აგურის სახლი 170მ2. მეტალოკრამიტის გადახურვით. მეტალოპლასმასის ფანჯრებით, რკინის კარით, ჭერზე გიფსოკარდონით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით, ცივი და ცხელი წყლით, გათბობით, ყველაფერი სულ ახალი გაკეთებული და გარემონტებულია.

ფასი 34 700 $. ტელ: 595 32 47 61

ხელოვნების სკოლა აცხადებს მიღებას

საფორტეპიანო და **საviოლინო** განყოფილებაზე. განცხადებების მიღება იწარმოებს 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე, რის შემდეგაც ბავშვებს აღარ მივიღებთ. მშობელს შეუძლია დაწეროს განცხადება, თუ რომელ პედაგოგთან უნდა ბავშვის მიყვანა.

გადასახადი თვეში 20 ლარია,

ორი და მეტი ოჯახის წევრის სწავლის შემთხვევაში კი გადასახადი მცირდება ბავშვზე 5 ლარით.

განცხადება

2024 წლის 13 მაისს, ორშაბათს 18:00 სთ-ზე, ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 ძმის მესამე შესახვევი №5-ში შედგება შპს „მემონტაჟე“-ს (ს.კ. 228544255) პარტნიორთა კრება.

დღის წესრიგი:

1. შპს „მემონტაჟე“-ს სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. იურიდიული მისამართის განსაზღვრა;
3. პარტნიორების გასვლა საზოგადოებიდან;
4. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნა.

შპს „მემონტაჟე“–ს დირექცია. ტელ: 595 215 277

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 29.04		სამშაბათი 30.04		ოთხშაბათი 01.05		ხუთშაბათი 02.05		პარასკევი 03.05		შაბათი 04.05		კვირა 05.05	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	26°	11 °	27°	13°	24 °	11 °	22°	11°	21°	10 °	18°	9 °	19 °	10 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი